წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 20

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 21 დეკემბერი

2022 წლის 21 დეკემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: ავთანდილ გაბელია,მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა, სოლომონ სარია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვანო ბურდული,მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 15^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 16^{30}საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა, სოლომონ სარია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

მომხსენებელი: **ივანე ბურდული,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

2. **სხვადასხვა**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით დაბადების დღე მიულოცა საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს ნიკანორ მელიას.

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა. საკითხთან დაკავშირებით მან განმარტება გააკეთა და აღნიშნა რომ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არაერთხელ იქნა განხილული კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე, ასევე მოეწყო ღია საჯარო განხილვა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ჩართულობით. ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების 80-90 პროცენტი. მერის პირველმა მოადგილემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ბიუჯეტის შემუშავება-განხილვაში თანამშრომლობისათვის. კითხვაზე თუ სად ნაწილდებოდა დამატებით შემოსული 400 000 ლარი დამატებითი ღირებულების გადასახმადიდან, მან უპასუხა, რომ ნაწილდებოდა შემდეგნაირად: 220 ათასი ლარი მიმართულ იქნება პირველკლასელთა ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფის პროგრამისთვის.დაახლოებით 300-მდე ბავშვია პირველკლასელი, რომელიც ერთჯერადად მიიღებენ საკვებს (ერთ ბავშვზე 4 ლარი იქნება გათვალისწინებული). დარჩენილი 180 ათასი ლარი კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა როგორც ცენტრალურ მოედანზე მონუმენტისთვის გამოყოფილი თანხა , რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, საბოლოო შეჯერების შედეგად ეს თანხა მიმართულ იქნება ქ.წალენჯიხის კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის , რომელთა პროექტების შერჩევა განხორციელდება საზოგადოების ჩართულობით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს, როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ასევე მოსახლეობა.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა , რომ 2 ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატია და არცერთი თეთრი არ დახარჯულა და არც არის გათვალისწინებული ამ დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ასევე, მან საკრებულოს წევრს დათო მესხიას შეახსენა მის მიერ გაკეთებული მწვავე განცხადება (რომპრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას მხარს არ დაუჭერდა) სოფ. ობუჯში ლეო ქიაჩელის სახელობის ბიბლიოთეკის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით. რაზეც საკრებულოს წევრმა დათო მესხიამ აღნიშნა, რომ ეს საკითხი განხილული იყო და პრობლემას უახლოეს მომავალში მერია მოაგვარებს. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მუნიციპალიტეტის წინაშე მდომი რიგი უმწვავესი პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებელია მუშაობის გაგრძელება შპს „ენგურჰესიდან" ქონების გადასახადის კორექტირებასთან დაკავშირებით, რათა რეალურად განისაზღვროს ენგურჰესიდან მისაღები ქონების გადასახადი. აქვე აღნიშნა, რომ ის ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მონუმენტის დადგმას უჭერდა მხარს და მოუწოდა საკრებულოს წევრებს 2023 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტისთვის მიეცათ ხმა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული გამოეხმაურა ადმინისტრაციულ ერთეულებში 2023 წლის ბიუჯეტში დასაგეგმი ღონისძიებების საკითხს და აღნიშნა, რომ კიდევ ერთხელ მზადაა ითანამშრომლოს ყველასთან, ერთობლივი გადაწყვეტილებით დაიგეგმოს პრიორიტეტები და თანხები გადანაწილდეს მაგის მიხედვით.

საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია გამოეხმაურა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან დამტებით შემოსული თანხის საკითხს და აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში, მართალია,გათვალისწინებულ იქნა წამოყენებული შენიშვნები და წინადადებები (თუმცა არა ყველა), მაგრამ ბიუჯეტში დამატებით შემოსული 400 ათასი ლარი, ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე, განაწილდა მერიის მიერ . ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის"ვერ გაიზიარებს მერიის გადაწყვეტილების ეფექტურობას მონუმენტის დადგმაზე თანხის დახარჯვასთან დაკავშირებით, მაშინ როცა მუნიციპალიტეტში გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემებია წინ წამოსაწევი, მაგალითად, მერიის მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული

წყალმომარაგების პრობლემა და კიდე ბევრი სხვა. რეზონანსული იყო მერიის განცხადებები სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციასთან დაკავშირებით და დღემდე წინ ნაბიჯი არ გადადგმულა, ეს რეფორმა მხოლოდ მომუშავეთა რიცხოვნობის შემცირებით შემოიფარგლა. კორნელი სალიამ მოითხოვა ქ. წალენჯიხის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისთვის გამოყოფილი 329 ათასი ლარის გადანაწილების დასაბუთება. რაც შეეხება პირველკლასელთა კვების პროგრამას, საკრებულოს თვმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ იდეას მხარს უჭერენ, თუმცა არ არის პროგრამა ნორმალურად შემუშავებული, შესწავლილი და გათვლა ზედაპირულად არის გაკეთებული, რაც ქმნის იმის ვარაუდს, რომ ამ პროექტის განხორციელება 2023 წლის სექტემბრამდე ვერც მოხერხდება.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ პრობლემა არის ის, რომ თანხის განაწილება მხოლოდ იდეის დონეზე ხდება, არ ხდება საკითხის შესწავლა და ხარჯვის აუცილებლობის დასაბუთება, შესაძლებელია იდეა მისაღები იყოს, მაგრამ მათი განხორციელების რეალობა არის ბუნდოვანი. რასაც გამოეხმაურა მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, რომელმაც აღნიშნა რომ, პროგრამას (პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა) სჭირდება დამუშავება რათა მოხდეს ყველა ნიუანსის გათვალისწინება , იანვრის ბოლოს იქნება პროექტი შემუშავებული და სახეზე იქნება პროგრამის დაზუსტებული ბიუჯეტი. რაც შეეხება სადაო 180 ათას ლარს, აქ ბოლოდ მონუმენტზე არაა საუბარი, თანხა ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება და მთლიანად ამ სფეროზე გადანაწილდება. რაც შეეხება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საკითხს , დაწესებულებების ავტორიზაცია აუცილებელია და რეორგანიზაციაც მისი განუყოფელი ნაწილია, რამაც შედეგი გამოიღო.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა- საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გონერი კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან დამატებით შემოსული 400 ათასი ლარი საკრებულოსთან შეთანხმების გარეშე თვითნებურად გადაანაწილა მერიამ და ამ თანხიდან 180 ათასი ლარის მონუმენტის დადგმისთვის გახარჯვას ფრაქცია არ დაუჭერს მხარს. ფრაქციის წინადადებაა ეს თანხა (180 ათასი ლარი) მიმართულ იქნეს სკოლამდელ დაწესებულებებზე და გადანაწილდეს ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარის ბაღებზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ კოლეგებს მოუწოდა კიდევ ერთხელ გაემართათ კონსულტაციები თანხების (180 ათასი ლარი) სწორად და შეჯერებულად გადანაწილებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში წინა წლებთან შედარებით თითქმის ყველა შენიშვნა და წინადადებები იყო გათვალისწინებული, მაშინ როდესაც ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“ 6 (ექვსი) შენიშვნიდან ექვსივე იქნა გათვალისწინებული, ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს 12 (თორმეტი) შენიშვნიდან გათვალისწინებულ იქნა 9 (ცხრა) და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 7 (შვიდი) შენიშვნიდან 5 გაითვალისწინეს. მსგავსი პრეცენდენტი ბიუჯეტის განხილვისას არასდროს ყოფილა, 2023 წლის ბიუჯეტის დღევანდელ სხდომაზე არ დამტკიცება-პარტიული დავალებაა და სხვა არაფერი .

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე სხვა აზრი არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს მხარი დაუჭირ 11-მა დეპუტატმა, (ავთანდილ გაბელია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია), წინააღმდეგი იყო 12-ი დეპუტატი (მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან

დადიანი, ნანა კეკუა, სოლომონ სარია,დათა კუკავა,კორნელი სალია,გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), ვინაიდან არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა (14 დეპუტატი), „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება არ იქნა მიღებული.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია